ხელშეკრულება №07
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ბათუმი

12 მარტი 2018წელი.

გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ს[1]" ქვეპუნქტის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანებით დამტკიცებული გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის მე–3 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ შპს ,,საფეხბურთო კლუბი მაჭახელა" (შემდგომში ,, შემსყიდველი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის როლანდი ფევაძის სახით და მეორე მხრივ შპს ,,გლობან პლიუსი"(შემდგომში - „მიმწოდებელი")მისი დირექტორის ზ. ქათამაძის- სახით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინთა განმარტებები

1.1. ,,ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში - „ხელშეკრულება") -შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმამიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნითშესრულებისათვის.

1.3. „დღე", „კვირა", „თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი" - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი" - პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „მომსახურება" - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1.7. „ტექნიკური დავალება" - სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკური დავალება, რომელიცდაერთვება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

2.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს სპორტული ტანსაცმლის შეძენა CPV18412000(შემდგომში „შესყიდვა") ტექნიკური დავალების შესაბამისად.

მუხლი 3. ხელშეკრულების ღირებულება:

3.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის საერთო ღირებულება შეადგენს **2700-00**/ორიათასშვიდას/ლარს

3.2. ხელშეკრულების ღირებულება შეიძლება შეიცვალოს (შემცირდეს) ფაქტიურად განხორციელებული მომსახურების გათვალისწინებით.

3.3. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს როგორც გასაწევი მომსახურების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

მუხლი 4. მხარეთა უფლება-მოვალეობები

4.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

4.1.1. ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას გაუწიოს შემსყიდველსხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება;

4.1.2. უზრუნველყოს მომსახურების გაწევა ტექნიკური დავალების შესაბამისად და აწარმოოსშესაბამისი დოკუმენტაციის შედგენა;

4.1.3. მომსახურების გაწევისას აღმოჩენილი მოსალოდნელი დაზიანებების თავიდან აცილებისმიზნით დროულად მიაწოდოს სრული ინფორმაცია ინსპექტირების განმახორციელებელ ჯგუფს;

4.1.4. განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველასაკითხზე, აგრეთვე დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორება;

საქართველოს საფეხბურთო კლუბი მაჭახელა football club Matchakhela 4839231 0 GEORGIA LTD

4.1.5.განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.
4.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია:
4.2.1. გაწეული მომსახურების სანაცვლოდ მიიღოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფასი.
4.3. შემსყიდველი ვალდებულია:
4.3.1. უზრუნველყოს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი;
4.3.2. განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.
4.3.3. გადაუხადოს მიმწოდებელს მომსახურების ღირებულება ხელშეკრულებით
გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.
4.4. შემსყიდველი უფლებამისილია:
4.4.1. მიიღოს მიმწოდებლის მიერ ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილასგაწეული მომსახურება;
4.4.2. ისარგებლოს ამ ხელშეკრულებით დადგენილი შემსყიდველის ნებისმიერი უფლებით.

მუხლი 5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1. შესყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების ნებისმიერ ეტაპზეგანახორციელოს კონტროლი (ინსპექტირება), რომლის მიზანიამომსახურების შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულპირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.
5.2. ხელშეკრულების 5.1 პუნქტით გათვალისწინებული კონტროლს (ინსპექტირებას) შემსყიდველისმხრიდან განახორციელებს დირექტორი.
5.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის
(ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა, ხარვეზისაღმოფხვრის შეუძლებლობის შემთხვევაში მოწოდებული პროდუქცია ექვემდებარებამიმწოდებელზე დაბრუნებას, ხოლო დეფექტური პროდუქციის შეუცვლელობის შემთხვევაში მისი ღირებულება გამოაკლდებამიმწოდებლისთვის გადასახდელ საერთო თანხას.

მუხლი 6. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

6.1. მიმწოდებელმა მომსახურების გაწევა უნდა განახორციელოს 2018 წლის 30მარტის ჩათვლით.
6.2. მომსახურების გაწევა ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მხარეთა მიერგანსაზღვრული უფლებამოსილი პირების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
6.3. შემსყიდველის მხრიდან 6.2. პუნქტში აღნიშნული მიღება-ჩაბარების აქტის ხელმომწერი პირიადირექტორი

მუხლი 7. ანგარიშსწორება

7.1. ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:
ა) ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი;
ბ) ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლისსაბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.
7.2. ანგარიშწორება ხორციელდება, ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისად, 10 დღის განმავლობაში მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტების(ანგარიშ-ფაქტურა, სასაქონლო ზედნადები) შემსყიდველისთვის მიწოდების თარიღიდან(იმისდამიხედვით, რომელი უფრო გვიან მოხდება), თუკი ანგარიშსწორების განხორციელებისვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნოსამუშაო დღეს.

მუხლი 8. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

8.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელგარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემდაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის,მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ,რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებააღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.
8.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

მუხლი 9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულობებისათვის

საქართველო. შპს
საფეხბურთო
კლუბი
მაჩახელა
football club
Matchakhela
448392310
GEORGIA, LTD

9.1. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ნებისმიერი ვალდებულებების შეუსრულებლობის (ან არაჯეროვნად შესრულების) შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამისილია დააკისროს მას პირგასამტეხლო ხელშეკრულების ფასის 0,5%-ის ოდენობით, შეუსრულებელი ვალდებულების ყოველი დღისათვის, რომლის გადახდა მოხდება მისთვის ასანაზღაურებელი თანხიდან გამოქვითვის საშუალებით.
9.2. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2 (ორი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას ნებისმიერ დროს შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.
9.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

მუხლი 10. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა

10.1. ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.
10.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

მუხლი 11. დავების გადაწყვეტა

11.1. ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.
11.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის შესაბამისად მიმართოს საქართველოს სასამართლოს ხელშეკრულების შედგენის ადგილის მიხედვით.

მუხლი 12. ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუმეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.
12.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისაგან.
12.3. ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

მუხლი 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1. მომსახურების გაწევის მოქმედების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2018წლის 15 აპრილის ჩათვლით
13.2. წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2018 წლის 15მაისის ჩათვლით.

მუხლი 14. ფორს-მაჟორი

14.1. წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.
14.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

საფეხბურთო კლუბი მატახელა football club Matchakhela 404839231 0 TBILISI

14.3. მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

მუხლი 15. სხვა პირობები

15.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება, მეორე მხარისაგან წერილობითი თანხმობის გარეშე თავისიუფლებები ან ვალდებულებები გადასცეს მესამე პირებს.
15.2. მხარეები თანხმდებიან, რომ ის ურთიერთობანი, რომელიც არ იქნება დარეგულირებული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
15.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ თანაბარ იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად (ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელს, ერთი ეგზემპლარი შემსყიდველს).

16. მხარეთა რეკვიზიტები

,,შემსყიდველი	"მიმწოდებელი"
	შპს გლობალ პლუსი"ს/კ 245627175
	მის. ქ. ბათუმი იმნაძის #5
შპს საფეხბურთო კლუბი ,,მაჭახელა" ქ.ბათუმი, ხელვაჩაური,სოფ ახალისოფელი **საინ კოდი:448392310** **სს ლიბერთი ბანკი** **ბანკის კოდი LBRTGE22** ა/ა #GE23LB0113122522452000 დირექტორი: რ. ფევაძე	საქართველოს ბანკი ანგ.#GE34BG0000000275176200 ბანკის კოდი BAGAGE22 tel. 577 40 06 28
	დირექტორი: ზ. ქათამაძე

ინფორმაცია ფასების მიწოდების შესახებ

დანართი №3

#	მასალის დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	სულ თანხა (ლარი)
1	სპორტული ტანსაცმელი(გეტრი)	36	15	540
2	სპორტული ტანსაცმელი(მაისური)	36	60	2160
	ჯამი			2700-00

შპს გლობალ პლუსი"ს/კ 245627175

მის. ქ. ბათუმი იმნაძის #5

საქართველოს ბანკი

ანგ.#GE34BG0000000275176200

ბანკის კოდი BAGAGE22

tel. 577 40 06 28

დირექტორი: ზ. ქათამაძე

მიღება - ჩაბარების აქტი

ქ. ბათუმი 13,03,208წელი

ჩვენ, ერთის მხრივ შპს საფეხბურთო კლუბი ,,მაჭახელა" მისი დირექტორი როლანდი ფევაძე მეორე მხვრივ შპს ,,გლობალ პლუსი" ს/კ 245627175 ჩვენს შორის 12,03,2018წ გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ #07 ხელშეკრულების საფუძველზე შევადგინეთ მიღება-ჩაბარების აქტი შემდეგზე:

1. გამყიდველმა გადასცა, ხოლო მყიდველმა მიიღო შემდეგი საქონელი:

#	მასალის დასახელება	რაოდე ნობა	ერთულის ფასი (ლარი)	სულ თანხა (ლარი)
1	სპორტული ტანსაცმელი(გეტრი)	36	15	540
2	სპორტული ტანსაცმელი(მაისური)	36	60	2160
	ჯამი			2700-00

"შემსყიდველი"	"მიმწოდებელი"
	შპს გლობალ პლუსი"ს/კ 245627175
	მის. ქ. ბათუმი იმნაძის #5
შპს საფეხბურთო კლუბი ,,მაჭახელა" ქ.ბათუმი, ხელვაჩაური,სოფ ახალისოფელი საიდ კოდი:448392310 სს ლიბერთი ბანკი ბანკის კოდი LBRTGE22 ა/ა #GE23LB0113122522452000 დირექტორი: რ. ფევაძე	საქართველოს ბანკი ანგ.#GE34BG0000000275176200 ბანკის კოდი BAGAGE22 tel. 577 40 06 28
	დირექტორი: ზ. ქათამაძე